საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ არჩილ თალაკვაძეს

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის ინიციატივით საქართველოს კონოსტიტუციის გადასინჯვის შესახებ საქართველოს კონტიტუციური კანონის პროექტის წარდგენის უფლების განხორციელების მიზნით შექმნილი საინიციატივო ჯგუფის

განცხადება

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 124-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მოგმართავთ განცხადებით, რათა რეგისტრაციაში გაატაროთ არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის ინიციატივით საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის წარდგენის უფლების განხორციელების მიზნით შექმნილი საქართველოს მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფი.

ამ განცხადებას თან ერთვის ჩვენ მიერ მომზადებული საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი და საინიციატივო ჯგუფის თითოეული წევრის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, მისამართი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი და ხელმოწერა.

გთხოვთ, ეს მასალები წარუდგინოთ საქართველოს პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომას, რათა ბიურომ ისინი, 7 დღის ვადაში სათანადო გადაწყვეტილების მისაღებად, გადასცეს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს.

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს. N 2-21506/19
"04" 12 2019წ. ფურცლ. 26

საინიციატივო ჯგუფის წევრები:

#	სახელი, გვარი	დაბადების თარიღი	მისამართი	პირადი ნომერი	ტელეფონის ნომერი	ხელმოწერა
1	ვიქტორ ჯაფარიძე	29.10.1966	მესტია , სეტის მოედანი N13	01005003721	599549200	
2	ირაკლი (დაჩი) ბერაია	23.07.1976	თემქა, მე-3 მკრ. მე-2 კვ. კ. 30, ბ.82	58001000619	599330144	
3	მიხეილ ყაველაშვილი	22.07.1971	ქ.თბილისი, თაყაიშვილის ქუჩა N6	01007002538	574232299	
4	დიმიტრი ხუნდაძე	30.11.1968	ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ. N158	31001002094	591939407	
5	გურამ მაჭარაშვილი	19.12.1971	ქ.თბილისი სარაჯიშვილის 1, ბინა 47	01026012414	599118020	
6	გოგა გულორდავა	21.12.1978	ქ. წალენჯიხა, მარჯვენა სანაპიროს ქუჩა N8	51001000028	599857777	
7	ცოტნე ზურაბიანი	28.09.1984	წყნეთის გზატკეცილი N7	53001014277	599262670	

8	სავალან მირზოევი	29.08.1986	გარდაბანი, სოფელი ყარათაქლია	12001032483	599030000	
9	რომან მუჩიაშვილი	13.25.1974	ქ.თბილისი პეკინის 19, ბ.57	01024031392	599208580	
10	გოგი მეშველიანი	30.11.1971	ქ.ბოლნისი, სულხან საბა ორბელიანის N 50	10001008188	599382266	
11	მერაბ ქვარაია	13.07.1972	ქ. ზუგდიდი, ბაქოს ქუჩა N15	19001017565	591445401	

<u>პროექტი</u>

საქართველოს კონსტიტუციური კანონი

საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს კონსტიტუციაში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995, №№31-33, მუხ. 668) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსი, შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფოს, თვითმმართველი ერთეულის, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების საკუთრებაში. გამონაკლისი შემთხვევები შეიძლება დადგინდეს ორგანული კანონით, რომელიც მიიღება რესპუბლიკის საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.“.

2. 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარის ან სენატის თავმჯდომარის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა.“.

3. 35-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვას ზედამხედველობს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც 6 წლის ვადით სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის უმრავლესობით ირჩევს რესპუბლიკის საბჭო. სახალხო დამცველად ერთი და იმავე პირის ზედიზედ ორჯერ არჩევა დაუშვებელია.“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სახალხო დამცველის დაკავება ან დაპატიმრება, მისი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ რესპუბლიკის საბჭოს თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს რესპუბლიკის საბჭოს. თუ რესპუბლიკის საბჭო არ მისცემს თანხმობას, სახალხო დამცველი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.“.

4. 36-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 36. პარლამენტის სტატუსი და უფლებამოსილება

1. საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

2. საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში არის ორი პალატა: ქვედა პალატა – რესპუბლიკის საბჭო და ზედა პალატა – სენატი.

3. პალატების მუშაობის წესი განისაზღვრება პალატების რეგლამენტებით, რომლებსაც შესაბამისი პალატის წევრის, კომიტეტის ან ფრაქციის ინიციატივის საფუძველზე პალატის სხდომაზე პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს შესაბამისი პალატა. პალატის რეგლამენტს აქვს კანონის ძალა და მას ხელს აწერს და აქვეყნებს პალატის თავმჯდომარე.

4. პარლამენტის პალატების გაერთიანებული სხდომის მომზადებისა და წარმართვის წესი განისაზღვრება პარლამენტის პალატების გაერთიანებული სხდომის რეგლამენტით, რომელსაც აქვს კანონის ძალა და მიიღება პარლამენტის პალატების გაერთიანებულ სხდომაზე პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.".

5. 37-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 37. პარლამენტის არჩევნები

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის სრულად აღდგენისა და ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის გადასინჯვის შემდეგ დადგინდება პარლამენტის შემადგენლობის, უფლებამოსილებისა და არჩევის წესი. ამ პუნქტით გათვალისწინებული პირობების შექმნამდე მოქმედებს ამ მუხლის მე-2–მე-10 პუნქტებით რეგლამენტირებული წესი.

2. რესპუბლიკის საბჭო შედგება საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში მაჟორიტარული სისტემით არჩეული 77 რესპუბლიკის საბჭოს წევრისაგან.

3. რესპუბლიკის საბჭოს მორიგი არჩევნები ტარდება ამ პალატის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბრის ბოლო შაბათს. რესპუბლიკის საბჭოს დათხოვნის შემთხვევაში არჩევნები ტარდება პარლამენტის დათხოვნიდან არაუადრეს 45-ე და არაუგვიანეს მე-60 დღისა. თუ არჩევნების თარიღი ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან არაუადრეს 45-ე და არაუგვიანეს მე-60 დღისა.

4. რესპუბლიკის საბჭოს წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელს მაინც. რესპუბლიკის საბჭოს წევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც სასამართლოს განაჩენით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა.

5. რესპუბლიკის საბჭოს არჩევის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

6. სენატი შედგება საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 სენატის წევრისაგან.

7. სენატის მორიგი არჩევნები ტარდება ამ პალატის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის მაისის მეორე შაბათს.

8. სენატის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 40 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელს მაინც. სენატის წევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც სასამართლოს განაჩენით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა.

9. სენატი გეოგრაფიული წარმომადგენლობის ასახვის მიზნით აირჩევა მუნიციპალური საზღვრების გათვალისწინებით ფორმირებულ ერთმანდატიან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში. ერთი სენატის წევრი წარმოადგენს ერთ ან რამდენიმე მუნიციპალიტეტს, გარდა თბილისისა. თბილისში როგორც საქართველოს დედაქალაქში, იქმნება არანაკლებ 5 ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. სენატის არჩევის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

10. პარლამენტის წევრობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს ორგანული კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც ჰყავს მისი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრი არჩევნების დანიშვნის დროისათვის ან რომლის მხარდაჭერა ორგანული კანონით დადგენილი წესით დადასტურებულია არანაკლებ 25000 ამომრჩევლის ხელმოწერით, აგრეთვე ორგანული კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ საინიციატივო ჯგუფს. საინიციატივო ჯგუფის მიერ კანდიდატის წარდგენისთვის საჭიროა კანდიდატის მხარდაჭერა ორგანული კანონით დადგენილი წესით დადასტურებული შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩევლების არანაკლებ 1 %-ის ხელმოწერით.“.

6. 38-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 38. პარლამენტის პალატების პირველი სხდომები და უფლებამოსილებების შეწყვეტა

ახალარჩეული პალატების პირველი სხდომები იმართება შესაბამისი პალატის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან არაუგვიანეს მე-10 დღისა. პირველ სხდომას ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. შესაბამისი პალატა პირველ სხდომაზე უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ სხდომას ესწრება ამ პალატის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. ამ მომენტიდან უფლებამოსილება უწყდება წინა მოწვევის შესაბამის პალატას. შესაბამისი პალატა სრულ უფლებამოსილებას იძენს მის წევრთა ორი მესამედის უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან.“

7. 39-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 39. საქართველოს პარლამენტის წევრი

1. საქართველოს პარლამენტის წევრი არის რესპუბლიკის საბჭოს ან სენატის წევრი, რომელიც არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი, სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია.

2. პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის შესაბამისი პალატის წინასწარი თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტის შესაბამის პალატას. თუ პარლამენტის შესაბამისი პალატა 48 საათის განმავლობაში არ მისცემს თანხმობას, პარლამენტის დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

3. პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც პარლამენტის წევრს. დაუშვებელია ამ საკითხთან დაკავშირებული წერილობითი მასალის დაყადაღება ან ამოღება. ეს უფლება პარლამენტის წევრს უნარჩუნდება მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც. პარლამენტის წევრს სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება თავისი მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში თუ მის გარეთ გამოთქმული შეხედულებებისათვის. უზრუნველყოფილია პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა შეუფერხებელი განხორციელების პირობები. პარლამენტის წევრი იღებს საკანონმდებლო აქტით დადგენილ გასამრჯელოს. პარლამენტის წევრის განცხადების საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ მის პირად უსაფრთხოებას. პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.

4. პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა საჯარო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. პარლამენტის წევრი შეიძლება ეწეოდეს საზოგადოებრივ საქმიანობას. პარლამენტის წევრი შეიძლება ეწეოდეს სამეცნიერო, პედაგოგიურ და სახელოვნებო

საქმიანობას, თუ ეს საქმიანობა არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებას. შეუთავსებლობის შემთხვევებს განსაზღვრავს პალატის რეგლამენტი. დაუშვებელია პარლამენტის წევრი იყოს ერთდროულად რესპუბლიკის საბჭოს და სენატის წევრი.

5. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს შესაბამისი პალატა. პალატის ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში. პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ იგი:

ა) პარლამენტის შესაბამის პალატას მიმართავს პირადი განცხადებით უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;

ბ) იკავებს სტატუსთან შეუთავსებელ თანამდებობას ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას;

გ) მორიგი სესიის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დაესწრო მორიგი სხდომების ნახევარზე მეტს;

დ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით ცნობილია დამნაშავედ;

ე) სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში, სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;

ვ) გარდაიცვალა;

ზ) დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას;

თ) ექვემდებარება უფლებამოსილების შეწყვეტას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით.“.

8. მე-40 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 40. პარლამენტის პალატების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები

1. პარლამენტის პალატები თავისი უფლებამოსილების ვადით პალატის რეგლამენტით დადგენილი წესით ფარული კენჭისყრით შესაბამისი პალატის სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარეს და სენატის თავმჯდომარეს. პალატის თავმჯდომარე უძღვება პალატის მუშაობას, უზრუნველყოფს აზრის თავისუფალ გამოხატვას, ხელს აწერს პალატის მიერ მიღებულ აქტებს, ახორციელებს პალატის რეგლამენტით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს. რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარე და სენატის თავმჯდომარე პალატის რეგლამენტით დადგენილი წესით ასრულებენ სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს იმ სასახლეში, სადაც საქმიანობას ახორციელებს შესაბამისი პალატა.

2. პალატა თავისი უფლებამოსილების ვადით პალატის რეგლამენტით დადგენილი წესით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს შესაბამისი პალატის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს და მოადგილეებს.“.

9. 41-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 41. პალატების ბიუროები, კომიტეტები და ფრაქციები

1. პარლამენტის პალატების მუშაობის ორგანიზებისათვის იქმნება რესპუბლიკის საბჭოს ბიურო და სენატის ბიურო, რომელთა შემადგენლობაში შედიან შესაბამისი პალატის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, შესაბამისი პალატის კომიტეტებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები.

2. პარლამენტის პალატისათვის კონსტიტუციით დადგენილი უფლებამოსილებების ფარგლებში საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, პარლამენტის მიერ მთავრობის და პარლამენტის წინაშე

ანგარიშვალდებული სხვა ორგანოების საქმიანობის კონტროლის მიზნით პალატებში იქმნება კომიტეტები.

3. პალატის წევრები შეიძლება გაერთიანდნენ პალატის ფრაქციაში პალატის რეგლამენტით დადგენილი წესით. ფრაქციის წევრთა რაოდენობა რესპუბლიკის საბჭოში და სენატში არ უნდა იყოს ხუთზე ნაკლები. ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ პალატის წევრებს შესაბამის პალატაში უფლება არა აქვთ შექმნან ერთზე მეტი ფრაქცია. პალატის ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესი, მისი უფლებები განისაზღვრება პალატის რეგლამენტით.“.

10. 42-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 42. საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიები

1. რესპუბლიკის საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე რესპუბლიკის საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ინიციატივით რესპუბლიკის საბჭოში იქმნება საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიები.

2. დროებითი კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რესპუბლიკის საბჭო მისი რეგლამენტით დადგენილი წესით. გადაწყვეტილება დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ მიიღება რესპუბლიკის საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მხარდაჭერით. დროებით კომისიაში რესპუბლიკის საბჭოს ფრაქციები წარმოდგენილი უნდა იყვნენ თითო წევრით მაინც. დროებით კომისიაში ოპოზიციის წარმომადგენლობა არ უნდა იყოს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლები.

3. საგამოძიებო კომისიის მოთხოვნით მის სხდომაზე გამოცხადება, აგრეთვე საკითხის გამოკვლევისათვის აუცილებელი საბუთებისა და ინფორმაციის წარდგენა სავალდებულოა.

11. 43-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 43. პარლამენტის წევრის კითხვა და ინტერპელაცია

1. პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს მთავრობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, მთავრობის წევრს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლების ორგანოს, სახელმწიფო დაწესებულებას. პარლამენტის წევრის კითხვაზე დროული და სრული პასუხის გაცემა სავალდებულოა.

2. რესპუბლიკის საბჭოს ფრაქციას, რესპუბლიკის საბჭოს წევრთა არანაკლებ ხუთკაციან ჯგუფს უფლება აქვს ინტერპელაციის წესით შეკითხვით მიმართოს მთავრობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, მთავრობის წევრს, რომელიც ვალდებულია უპასუხოს დასმულ შეკითხვას რესპუბლიკის საბჭოს სხდომაზე. პასუხი შეიძლება გახდეს რესპუბლიკის საბჭოს განხილვის საგანი.“.

12. 44-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 44. პალატების სესიები და სხდომები

1. რესპუბლიკის საბჭო თავისი უფლებით იკრიბება მორიგ სესიაზე წელიწადში ორჯერ. საშემოდგომო სესია იხსნება სექტემბრის პირველ სამშაბათს და იხურება დეკემბრის მესამე პარასკევს, ხოლო საგაზაფხულო სესია იხსნება თებერვლის პირველ სამშაბათს და იხურება ივნისის ბოლო პარასკევს.

2. სენატი თავისი უფლებით იკრიბება მორიგ სესიაზე წელიწადში ორჯერ. საშემოდგომო სესია იხსნება სექტემბრის მეორე სამშაბათს და იხურება დეკემბრის მეოთხე პარასკევს, ხოლო საგაზაფხულო სესია იხსნება თებერვლის მეორე სამშაბათს და იხურება ივლისის პირველ პარასკევს.

3. საქართველოს პრეზიდენტი პალატების თავმჯდომარეების, შესაბამისი პალატის წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის ან მთავრობის მოთხოვნით სესიებს შორის პერიოდში იწვევს რიგგარეშე სესიას, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას – რიგგარეშე სხდომას. თუ წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში მოწვევის აქტი არ გამოიცა, შესაბამისი პალატა მისი რეგლამენტის თანახმად იკრიბება მომდევნო 48 საათის განმავლობაში. შესაბამისი პალატის რიგგარეშე სხდომა ტარდება მხოლოდ ინიციატორის მიერ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამოწურვისთანავე.

4. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებისთანავე პარლამენტი იკრიბება პალატების გაერთიანებულ საგანგებო სესიაზე. საგანგებო სესია გრძელდება ამ მდგომარეობის გაუქმებამდე.

5. პალატების სხდომები, აგრეთვე, პარლამენტის პალატების გაერთიანებული სხდომა საჯაროა. პალატა დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, იღებს გადაწყვეტილებას ცალკეული საკითხების განხილვისას სხდომის ან სხდომის ნაწილის დახურულად გამოცხადების შესახებ. გადაწყვეტილება სხდომის ან მისი ნაწილის დახურვის შესახებ განიხილება და მიიღება დახურული წესით. პალატის ღია სხდომის ოქმი საჯაროა. პარლამენტის პალატების გაერთიანებულ სხდომებზე, სხდომის დახურვასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას, ვრცელდება ამ პუნქტით დადგენილი წესები.

6. პალატების სხდომებზე და პალატების გაერთიანებულ სხდომებზე კენჭისყრა არის ღია ან ფარული. კენჭისყრა ღიაა, გარდა კონსტიტუციით ან კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7. მთავრობის წევრი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – ვალდებულია დაესწროს რესპუბლიკის საბჭოს, მისი კომიტეტისა და კომისიის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომებზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში. ასეთ თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს რესპუბლიკის საბჭომ, ან მისმა კომიტეტმა, აგრეთვე, კომისიამ.“.

13. 45-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 45. კანონშემოქმედება და გადაწყვეტილების მიღების წესი

1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ: მთავრობას, რესპუბლიკის საბჭოს წევრს, სენატს, რესპუბლიკის საბჭოს ფრაქციას, რესპუბლიკის საბჭოს კომიტეტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 25000 ამომრჩეველს. მთავრობის მიერ წარდგენილ კანონპროექტს მისივე მოთხოვნით რესპუბლიკის საბჭო განიხილავს რიგგარეშედ.

2. კანონი რესპუბლიკის საბჭოში მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ ამ პალატის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული კანონის მიღების სხვა წესი. ორგანული კანონი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს რესპუბლიკის საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული ორგანული კანონის მიღების სხვა წესი.

3. რესპუბლიკის საბჭოს მიერ მიღებული კანონი 3 დღის ვადაში გადაეცემა სენატს. სენატი 2 კვირის ვადაში ერთი მოსმენით იღებს გადაწყვეტილებას რესპუბლიკის საბჭოს მიერ მიღებული კანონის უცვლელად მხარდაჭერის ან მისი უარყოფის თაობაზე. თუ ამ პუნქტით დადგენილ ვადაში სენატმა გადაწყვეტილება არ მიიღო კანონი მხარდაჭერილად ითვლება. სენატი კანონის

მხარდაჭერის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სენატის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, ხოლო ორგანული კანონის შემთხვევაში - სრული შემადგენლობის უმრავლესობით, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული ორგანული კანონის ან კანონის მიღების სხვა წესი, რა დროსაც გადაწყვეტილება მიიღება ამ ორგანული კანონის ან კანონის მიღების წესის შესაბამისად. კანონის მხარდაჭერის შემთხვევაში სენატი 3 დღის ვადაში კანონს გადასცემს რესპუბლიკის საბჭოს. შესაბამისი კანონის უარყოფის შემთხვევაში სენატი 2 დღის ვადაში უბრუნებს კანონს რესპუბლიკის საბჭოს, რომელიც 2 კვირის ვადაში რესპუბლიკის საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას კანონის უცვლელად საქართველოს პრეზიდენტისათვის გადაცემის თაობაზე, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული ორგანული კანონის ან კანონის მიღების სხვა წესი, რა დროსაც ორგანული კანონის პრეზიდენტისათვის გადაცემის გადაწყვეტილება მიიღება ამ ორგანული კანონის ან კანონის პირვანდელი მიღებისათვის დადგენილი ხმების რაოდენობით.

4. პალატების სხვა გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ შესაბამისი პალატის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ კონსტიტუციით ან კანონით არ არის განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების სხვა წესი. გადაწყვეტილება კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ მიღებულად ითვლება, თუ მას პალატების გაერთიანებულ სხდომაზე მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედი.“.

14. 46-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 46. კანონის ხელმოწერა და გამოქვეყნება

1. რესპუბლიკის საბჭო სენატის მიერ მხარდაჭერილი კანონის მიღებიდან ან კანონის უარყოფაზე სენატის გადაწყვეტილების დაძლევიდან 10 დღის ვადაში კანონს გადასცემს საქართველოს პრეზიდენტს.

2. საქართველოს პრეზიდენტი 2 კვირის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს რესპუბლიკის საბჭოს.

3. თუ საქართველოს პრეზიდენტი დააბრუნებს კანონს, რესპუბლიკის საბჭო კენჭს უყრის საქართველოს პრეზიდენტის შენიშვნებს. შენიშვნათა მისაღებად საკმარისია ხმათა იგივე რაოდენობა, რაც ამ სახის კანონის პირვანდელი მიღებისათვის არის დადგენილი. თუ შენიშვნები მიღებულია, კანონის შესაბამისი რედაქცია 3 დღის ვადაში გადაეცემა სენატს, რა დროსაც საკითხი იხილება და გადაწყვეტილება მიიღება კონსტიტუციის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით. თუ სენატი გაიზიარებს შენიშვნებს ან თუ სენატი უარყოფს შენიშვნების გაზიარებას, მაგრამ რესპუბლიკის საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას საქართველოს პრეზიდენტისათვის კანონის გადაცემის შესახებ, კანონის საბოლოო რედაქცია 5 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც 5 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას.

4. თუ რესპუბლიკის საბჭომ არ მიიღო საქართველოს პრეზიდენტის შენიშვნები, კენჭი ეყრება კანონის პირვანდელ რედაქციას. ორგანული კანონი ან კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს რესპუბლიკის საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა, გარდა კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ორგანული კანონისა, რომელიც მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს რესპუბლიკის საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. კონსტიტუციური კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას პალატების გაერთიანებულ სხდომაზე მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი. კანონი 3 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც 5 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას.

5. კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ კონსტიტუციურ კანონს, რომელიც პარლამენტმა მიიღო პალატების გაერთიანებულ სხდომაზე სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით, საქართველოს პრეზიდენტი ხელს აწერს და აქვეყნებს გადაცემიდან 5 დღის ვადაში, შენიშვნებით დაბრუნების უფლების გარეშე.

6. თუ საქართველოს პრეზიდენტმა ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში არ მოაწერა ხელი კანონს და არც მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნა იგი რესპუბლიკის საბჭოს ან ამ მუხლის მე-3, მე-4 ან მე-5 პუნქტით დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, მას ვადის ამოწურვიდან 5 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარე.

7. კანონი ძალაში შედის ოფიციალურ ორგანოში მისი გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ იმავე კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი.".

15. 47-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 47. საერთაშორისო ხელშეკრულებები

1. საქართველოს მთავრობა საერთაშორისო ხელშეკრულებებს რატიფიცირების, დენონსირებისა და გაუქმების მიზნით წარუდგენს სენატს. სენატი 2 კვირის ვადაში განიხილავს საკითხს და შესაბამის დასკვნას წარუდგენს რესპუბლიკის საბჭოს.

2. სენატის დასკვნის მიღებიდან რესპუბლიკის საბჭო სრული შემადგენლობის უმრავლესობით ახორციელებს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებას, დენონსირებას და გაუქმებას. რესპუბლიკის საბჭო ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირებას, დენონსირებას და გაუქმებას ახორციელებს სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედის უმრავლესობით.

2. იმ საერთაშორისო ხელშეკრულების გარდა, რომელიც ითვალისწინებს რატიფიცირებას, სავალდებულოა აგრეთვე ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება, რომელიც:

ა) ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოთაშორის კავშირში საქართველოს შესვლას;

ბ) სამხედრო ხასიათისაა;

გ) ეხება სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას ან სახელმწიფო საზღვრის შეცვლას;

დ) დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ სესხის აღებასთან ან გაცემასთან;

ე) მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შეცვლას, ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი კანონების მიღებას.

3. პარლამენტის ორივე პალატას უნდა გადაეცეს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები.

4. საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების შეტანის შემთხვევაში დაუშვებელია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე.".

16. 48-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 48. იმპიჩმენტი

1. კონსტიტუციის დარღვევისას ან ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის წევრის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, გენერალური პროკურორის, გენერალური აუდიტორის ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს რესპუბლიკის საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საკითხი გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც მას განიხილავს და რესპუბლიკის საბჭოს დასკვნას წარუდგენს ერთი თვის ვადაში.

2. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა თანამდებობის პირის, ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა ან კონსტიტუციის დარღვევა, რესპუბლიკის საბჭო დასკვნის წარდგენიდან 2 კვირის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის იმპიჩმენტის წესით მისი თანამდებობიდან გადაყენების საკითხს, გარდა საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის განხილვისა, როდესაც შესაბამისი დასკვნის წარდგენიდან 2 კვირის ვადაში საკითხს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტი პალატების გაერთიანებულ სხდომაზე.

3. საქართველოს პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტი პალატების გაერთიანებულ სხდომაზე სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით. მთავრობის წევრი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, გენერალური პროკურორი, გენერალური აუდიტორი ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს რესპუბლიკის საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

4. თუ პარლამენტმა ან შესაბამისმა პალატამ ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში არ მიიღო გადაწყვეტილება თანამდებობის პირის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, იმავე საფუძვლით იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება დაუშვებელია.

5. ამ მუხლში ჩამოთვლილ თანამდებობის პირთა თანამდებობიდან გადაყენება, გარდა მთავრობის წევრისა, შეიძლება მხოლოდ იმპიჩმენტის წესით.

6. დაუშვებელია საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.“.

17. 50-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება უფლებამოსილების შეწყვეტიდან 45 დღის ვადაში. თუ არჩევის თარიღი ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან 45 დღის ვადაში. თუ საქართველოს პრეზიდენტის არჩევის თარიღი ემთხვევა პარლამენტის ერთ-ერთი პალატის არჩევნების ან მის წინა თვეს, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება შესაბამისი ახალარჩეული პალატის პირველი სხდომის გამართვიდან 45 დღის განმავლობაში.

6. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებს ნიშნავს რესპუბლიკის საბჭო, გარდა ხელახალი არჩევნებისა, რომელსაც ნიშნავს რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარე.“.

18. 51-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საქართველოს პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს სენატის თავმჯდომარე.“

19. 52-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) კონსტიტუციითა და ორგანული კანონით დადგენილი წესით ნიშნავს პარლამენტის პალატებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებს;

დ) მთავრობის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურს; ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ წევრს;

ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით მონაწილეობს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების თანამდებობაზე განწესებაში; მთავრობის წარდგინებით სენატს ასარჩევად წარუდგენს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების წევრობის კანდიდატებს;";

ბ) პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) უფლებამოსილია მთავრობის წარდგინებითა და სენატის თანხმობით შეაჩეროს ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობა ან დაითხოვოს იგი, თუ მისი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელებას;";

გ) მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია პარლამენტის ერთ-ერთი პალატის, მთავრობის ან არანაკლებ 200000 ამომრჩევლის მოთხოვნით დანიშნოს რეფერენდუმი კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ საკითხებზე, მისი დანიშვნის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. არ შეიძლება რეფერენდუმის ჩატარება კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად, ამნისტიის ან შეწყალების გამო, საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების ან დენონსირების შესახებ, აგრეთვე ისეთ საკითხზე, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის ძირითადი კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას. რეფერენდუმის დანიშვნასა და ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება ორგანული კანონით.

3. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მიმართოს ხალხს. წელიწადში ერთხელ იგი პარლამენტს პალატების გაერთიანებულ სხდომაზე წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.".

20. 53-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) პარლამენტის პალატების არჩევნების დანიშვნას, რესპუბლიკის საბჭოს დათხოვნას, პარლამენტის პალატების სესიის ან სხდომის მოწვევას;";

ბ) მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ)კანონის ხელმოწერას და გამოქვეყნებას, რესპუბლიკის საბჭოსთვის კანონის შენიშვნებით დაბრუნებას;".

21. 54-ე მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. მთავრობის სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით, რომლის პროექტს რესპუბლიკის საბჭოს წარუდგენს მთავრობა.".

22. 55-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. პრემიერ-მინისტრი მთავრობის საქმიანობისთვის ანგარიშვალდებულია რესპუბლიკის საბჭოს წინაშე. წელიწადში ერთხელ იგი რესპუბლიკის საბჭოს წარუდგენს მოხსენებას სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, აგრეთვე რესპუბლიკის საბჭოს მოთხოვნით – სამთავრობო პროგრამის ცალკეული ნაწილის შესრულების მიმდინარეობის ანგარიშს.".

23. 56-ე მუხლის პირველი–მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ახალარჩეული რესპუბლიკის საბჭოს მიერ სრული უფლებამოსილების შეძენისთანავე მთავრობა იხსნის უფლებამოსილებას რესპუბლიკის საბჭოს წინაშე და განაგრძობს მოვალეობის შესრულებას ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნამდე. პრემიერ-მინისტრის გადადგომის შემთხვევაში პრემიერ-მინისტრს უფლებამოსილება უწყდება გადადგომისთანავე. პრემიერ-მინისტრის გადადგომის ან მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტის შემთხვევაში მთავრობა განაგრძობს მოვალეობის შესრულებას ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნამდე.

2. რესპუბლიკის საბჭო მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან, აგრეთვე პრემიერ-მინისტრის გადადგომიდან ან უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტიდან 2 კვირის ვადაში ნდობას უცხადებს რესპუბლიკის საბჭოს სრული შემადგენლობის ერთ მესამედზე მეტის მიერ წამოყენებული პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ წარდგენილ მთავრობას. თუ ამ პუნქტით დადგენილი წესით დასახელდა პრემიერმინისტრობის 2 კანდიდატი, კენჭი ეყრება ორივე პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ წარდგენილ მთავრობას. ერთ რესპუბლიკის საბჭოს წევრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ ერთი პრემიერმინისტრობის კანდიდატის წარდგენაში და მხარი დაუჭიროს მხოლოდ ერთი პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ წარდგენილ მთავრობას. მთავრობის შემადგენლობასთან ერთად რესპუბლიკის საბჭოს წარედგინება სამთავრობო პროგრამა. ნდობის მისაღებად საჭიროა რესპუბლიკის საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა.

3. თუ რესპუბლიკის საბჭომ მთავრობას დადგენილ ვადაში ნდობა არ გამოუცხადა, საქართველოს პრეზიდენტი შესაბამისი ვადის ამოწურვიდან არაუადრეს 2 და არაუგვიანეს 3 კვირისა დაითხოვს რესპუბლიკის საბჭოს და დანიშნავს რესპუბლიკის საბჭოს რიგგარეშე არჩევნებს.

4. საქართველოს პრეზიდენტი არ დაითხოვს რესპუბლიკის საბჭოს და არ დანიშნავს რესპუბლიკის საბჭოს რიგგარეშე არჩევნებს, თუ რესპუბლიკის საბჭო ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან 2 კვირის ვადაში შეძლებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებას.“.

24. 57-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 57. უნდობლობის გამოცხადება

1. რესპუბლიკის საბჭო უფლებამოსილია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას.

2. უნდობლობის საკითხის აღძვრის უფლება აქვს რესპუბლიკის საბჭოს სრული შემადგენლობის ერთ მესამედზე მეტს. უნდობლობის საკითხის აღძვრასთან ერთად ინიციატორები წამოაყენებენ პრემიერმინისტრობის კანდიდატს, ხოლო პრემიერმინისტრობის კანდიდატი რესპუბლიკის საბჭოს წარუდგენს მთავრობის ახალ შემადგენლობას. მთავრობის შემადგენლობასთან ერთად რესპუბლიკის საბჭოს წარედგინება სამთავრობო პროგრამა.

3. თუ რესპუბლიკის საბჭო საკითხის აღძვრიდან არაუადრეს 7 და არაუგვიანეს 14 დღისა სრული შემადგენლობის უმრავლესობით ნდობას გამოუცხადებს ახალ მთავრობას, უნდობლობა გამოცხადებულად ჩაითვლება. ახალი მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობაზე დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი მისი დანიშვნიდან 2 დღის ვადაში – მინისტრებს. თუ საქართველოს პრეზიდენტი დადგენილ ვადაში არ დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, იგი დანიშნულად ჩაითვლება. მთავრობას . უფლებამოსილება უწყდება ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნის მომენტიდან.

4. თუ რესპუბლიკის საბჭო უნდობლობის საკითხის აღძვრის შემდეგ არ გამოუცხადებს მთავრობას უნდობლობას, დაუშვებელია რესპუბლიკის საბჭოს იმავე წევრთა მიერ მომდევნო 6 თვის განმავლობაში უნდობლობის საკითხის აღძვრა.“.

25. 58-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 58. ნდობის გამოცხადება პრემიერ-მინისტრის ინიციატივით

1. პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია რესპუბლიკის საბჭოს წინაშე დასვას მთავრობის ნდობის საკითხი.

2. ნდობის საკითხს კენჭი ეყრება მისი დასმიდან არაუადრეს მე-7 და არაუგვიანეს მე-14 დღისა. თუ რესპუბლიკის საბჭო ნდობას არ გამოუცხადებს მთავრობას, საქართველოს პრეზიდენტი ნდობის არგამოცხადებიდან არაუადრეს მე-8 და არაუგვიანეს მე-14 დღისა დაითხოვს რესპუბლიკის საბჭოს და დანიშნავს რესპუბლიკის საბჭოს რიგგარეშე არჩევნებს.

3. საქართველოს პრეზიდენტი არ დაითხოვს რესპუბლიკის საბჭოს, თუ რესპუბლიკის საბჭო მთავრობისთვის ნდობის არგამოცხადებიდან 7 დღის ვადაში სრული შემადგენლობის უმრავლესობით ნდობას გამოუცხადებს რესპუბლიკის საბჭოს სრული შემადგენლობის ერთ მესამედზე მეტის მიერ წამოყენებული პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ წარდგენილ მთავრობას. მთავრობის შემადგენლობასთან ერთად რესპუბლიკის საბჭოს წარედგინება სამთავრობო პროგრამა. ახალი მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობაზე დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი მისი დანიშვნიდან 2 დღის ვადაში – მინისტრებს. თუ საქართველოს პრეზიდენტი დადგენილ ვადაში არ დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, იგი დანიშნულად ჩაითვლება. მთავრობას უფლებამოსილება უწყდება ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნის მომენტიდან.“.

26. მე-60 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 10 წლის ვადით განწესებული 9 მოსამართლისაგან, რომელთაგან 3 მოსამართლეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, 3 მოსამართლეს სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის უმრავლესობით ირჩევს სენატი, ხოლო 3 მოსამართლეს ნიშნავს უზენაესი სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება და გამორჩეული პროფესიული კვალიფიკაცია. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.“;

ბ) მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საქართველოს პრეზიდენტის, რესპუბლიკის საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან მთავრობის სარჩელის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხზე;“;

გ) მე-4 პუნქტის „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“, და „თ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) საქართველოს პრეზიდენტის, რესპუბლიკის საბჭოს, სენატის, მთავრობის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, გენერალური პროკურორის, ეროვნული ბანკის საბჭოს, გენერალური აუდიტორის, სახალხო დამცველის ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ან აღმასრულებელი ორგანოს სარჩელის საფუძველზე იხილავს დავას შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების შესახებ;

ე) საქართველოს პრეზიდენტის ან მთავრობის სარჩელის, რესპუბლიკის საბჭოს ან სენატის არანაკლებ ერთი მეხუთედის სარჩელის ან წარდგინების საფუძველზე იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხს;

ვ) საქართველოს პრეზიდენტის, რესპუბლიკის საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან მთავრობის სარჩელის საფუძველზე იხილავს პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობისა და ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს;

ზ) რესპუბლიკის საბჭოს ან სენატის არანაკლებ ერთი მეხუთედის ან შესაბამისი პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს შესაბამისი პალატის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ პალატის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის საკითხს;

თ) საქართველოს პრეზიდენტის, რესპუბლიკის საბჭოს ან სენატის არანაკლებ ერთი მეხუთედის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე იხილავს რეფერენდუმის ან არჩევნების მომწესრიგებელი ნორმისა და ამ ნორმის საფუძველზე ჩასატარებელი ან ჩატარებული რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას;“.

27. 61-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში შედის არანაკლებ 28 მოსამართლე. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით უვადოდ, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს რესპუბლიკის საბჭო.

3. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უზენაესი სასამართლოს წევრთაგან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით 10 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს რესპუბლიკის საბჭო. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევა დაუშვებელია.“.

28. 64-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში შედიან 4 წლის ვადით განწესებული 14 წევრი და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტს შეადგენენ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ მოსამართლეთაგან არჩეული წევრები. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში, გარდა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული წევრებისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა, შედიან საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული წევრი და რესპუბლიკის საბჭოს მიერ სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის უმრავლესობით არჩეული წევრები. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრთაგან ორგანული კანონით დადგენილი წესით 4 წლის ვადით, მაგრამ არაუმეტეს მისი როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადისა, ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს 4 წლის ვადით ირჩევს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო მის მიერ არჩეულ წევრთაგან.“.

29. 65-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პროკურატურას ხელმძღვანელობს გენერალური პროკურორი, რომელსაც 6 წლის ვადით საპროკურორო საბჭოს წარდგინებით ორგანული კანონით დადგენილი წესით სენატის თანხმობით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს რესპუბლიკის საბჭო.“;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. პროკურატურა ყოველწლიურად წარუდგენს რესპუბლიკის საბჭოს თავისი საქმიანობის ანგარიშს.“.

30. 66-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 66. სახელმწიფო ბიუჯეტი

1. რესპუბლიკის საბჭო სრული შემადგენლობის უმრავლესობით ყოველწლიურად იღებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს.

2. მხოლოდ მთავრობაა უფლებამოსილი რესპუბლიკის საბჭოს კომიტეტებთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების განხილვის შემდეგ რესპუბლიკის საბჭოს წარუდგინოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი. მთავრობა მომდევნო საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს რესპუბლიკის საბჭოს წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებამდე არაუგვიანეს 3 თვისა. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად მთავრობა წარადგენს მოხსენებას მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს მთავრობა რესპუბლიკის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 თვისა.

3. მთავრობის თანხმობის გარეშე დაუშვებელია სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში ცვლილების შეტანა. მთავრობას შეუძლია მოსთხოვოს რესპუბლიკის საბჭოს დამატებითი სახელმწიფო ხარჯის გაღება, თუ მიუთითებს მისი დაფარვის წყაროს.

4. კანონი, რომელიც იწვევს მიმდინარე საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, რესპუბლიკის საბჭომ შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთავრობის თანხმობის შემდეგ, ხოლო მომავალ საბიუჯეტო წელთან დაკავშირებული კანონი – მთავრობის თანხმობით ან მთავრობის მიერ რესპუბლიკის საბჭოსთვის წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის ფარგლებში.

5. თუ რესპუბლიკის საბჭომ არ მიიღო სახელმწიფო ბიუჯეტი ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, ხარჯები დაიფარება კანონით დადგენილი წესით, წინა წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით.

6. სახელმწიფო ბიუჯეტში რესპუბლიკის საბჭოსთვის ან სენატისთვის განკუთვნილი მიმდინარე სახსრების შემცირება წინა წლის საბიუჯეტო სახსრების ოდენობასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ შესაბამისი პალატის წინასწარი თანხმობით. რესპუბლიკის საბჭო და სენატი თავად იღებენ გადაწყვეტილებას სახელმწიფო ბიუჯეტში მათთვის გამოყოფილი სახსრების განაწილების თაობაზე.

7. რესპუბლიკის საბჭოს მიერ მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის განხილვა სენატში ხდება კონსტიტუციის 45-ე მუხლით დადგენილი წესით.

8. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს კონსტიტუციის 46-ე მუხლით დადგენილი წესით ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტი. რესპუბლიკის საბჭოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე საქართველოს პრეზიდენტის შენიშვნების გაზიარება დასაშვებია მხოლოდ მთავრობის თანხმობით.

9. სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და მიღების წესი განისაზღვრება კანონით.“.

31. 68-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო, რომლის წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით 7 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სენატი. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეროვნული ბანკის საბჭოს

წევრთაგან ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

3. ეროვნული ბანკი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. კონსტიტუციის 69-ე მუხლით გათვალისწინებულ ზედამხედველობასა და კონტროლს ექვემდებარება ეროვნული ბანკის მხოლოდ ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯები. ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებულია სენატის წინაშე და ყოველწლიურად წარუდგენს მას თავისი საქმიანობის ანგარიშს.“.

32. 69-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 69. სახელმწიფო აუდიტის სამსახური

1. საჯარო მმართველობის ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების ხელშესაწყობად საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა საჯარო რესურსების გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. იგი უფლებამოსილია აგრეთვე შეამოწმოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა, წარუდგინოს რესპუბლიკის საბჭოს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები.

2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ხელმძღვანელობს გენერალური აუდიტორი, რომელსაც 5 წლის ვადით რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს რესპუბლიკის საბჭო.

3. სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია.

4. სახელმწიფო აუდიტის სამსახური ანგარიშვალდებულია რესპუბლიკის საბჭოს წინაშე. წელიწადში ორჯერ, ბიუჯეტის შესრულების წინასწარი ანგარიშისა და სრული ანგარიშის წარდგენის დროს, სახელმწიფო აუდიტის სამსახური რესპუბლიკის საბჭოს წარუდგენს მოხსენებას მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით, ხოლო წელიწადში ერთხელ – თავისი საქმიანობის ანგარიშს.

5. სახელმწიფო აუდიტის სამსახური უზრუნველყოფს საჯარო სახსრების მართვის კონტროლს რესპუბლიკის საბჭოს მიერ.

6. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება, სტრუქტურა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით.“.

33. 70-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. თავდაცვის ძალების სახეობები და შემადგენლობა განისაზღვრება კანონით. თავდაცვის ძალების რაოდენობას მთავრობის წარდგინებით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს რესპუბლიკის საბჭო.“.

34. 71-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 71. საგანგებო და საომარი მდგომარეობა

1. საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის ან მისი უშუალო საფრთხის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და ამ გადაწყვეტილებებს დაუყოვნებლივ წარუდგენს პარლამენტს პალატების გაერთიანებულ სხდომაზე დასამტკიცებლად. გადაწყვეტილება საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ ძალაში შედის საომარი მდგომარეობის გამოცხადების მომენტიდან. პარლამენტი პალატების გაერთიანებულ სხდომაზე შეკრებისთანავე ამტკიცებს გადაწყვეტილებას. თუ პარლამენტი გადაწყვეტილებას არ დაამტკიცებს, იგი კენჭისყრისთანავე კარგავს იურიდიულ ძალას.

2. მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალების, შეიარაღებული ამბოხების, ტერორისტული აქტის, ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის ან ეპიდემიის დროს ან სხვა შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და ამ გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ წარუდგენს პარლამენტს პალატების გაერთიანებულ სხდომაზე დასამტკიცებლად. გადაწყვეტილება ძალაში შედის საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მომენტიდან. პარლამენტი პალატების გაერთიანებულ სხდომაზე შეკრებისთანავე ამტკიცებს გადაწყვეტილებას. თუ პარლამენტი გადაწყვეტილებას არ დაამტკიცებს, იგი კენჭისყრისთანავე კარგავს იურიდიულ ძალას. საგანგებო უფლებამოსილებანი ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა.

3. საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით გამოსცემს ორგანული კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებიც მოქმედებს შესაბამისად საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გაუქმებამდე. ეროვნული ბანკის უფლებამოსილებასთან დაკავშირებული დეკრეტი გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანხმობით. დეკრეტი ძალაში შედის გამოცემის მომენტიდან. დეკრეტი დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს პალატების გაერთიანებულ სხდომაზე დასამტკიცებლად. პარლამენტი დეკრეტს ამტკიცებს პალატების გაერთიანებულ სხდომაზე შეკრებისთანავე. თუ პარლამენტი დეკრეტს არ დაამტკიცებს, იგი კენჭისყრისთანავე კარგავს იურიდიულ ძალას.

4. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში დეკრეტით შეზღუდოს კონსტიტუციის მე-13, მე-14, მე-15, მე-17, მე-18, მე-19, 21-ე და 26-ე მუხლებში ჩამოთვლილი უფლებები. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში დეკრეტით შეაჩეროს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-2–მე-6 პუნქტების, მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-17 მუხლის მე-3, მე-5 და მე-6 პუნქტების, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება. საქართველოს პრეზიდენტი ამ პუნქტით გათვალისწინებულ დეკრეტს დაუყოვნებლივ წარუდგენს პარლამენტს პალატების გაერთიანებულ სხდომაზე დასამტკიცებლად. დეკრეტი უფლების შეზღუდვის შესახებ ძალაში შედის გამოცემისთანავე, ხოლო ნორმის შეჩერების შესახებ – პარლამენტის მიერ დამტკიცებისთანავე. დეკრეტი უფლების შეზღუდვის შესახებ მტკიცდება ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

5. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საყოველთაო არჩევნები არ ტარდება. ქვეყნის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტი პალატების გაერთიანებულ სხდომაზე.

6. გადაწყვეტილება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმების შესახებ მიიღება შესაბამისი მდგომარეობის გამოცხადებისა და დამტკიცებისთვის დადგენილი წესით.

7. პარლამენტის გადაწყვეტილება ამ მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე მიიღება პალატების გაერთიანებულ სხდომაზე პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.“.

35. 72-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 72. თავდაცვის ძალების გამოყენება

1. გადაწყვეტილებას საომარი მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ იღებს პრემიერ-მინისტრი და ეს გადაწყვეტილება არ საჭიროებს დამტკიცებას პარლამენტის მიერ.

2. საგანგებო მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას პრემიერ-მინისტრის წარდგინებით იღებს საქართველოს პრეზიდენტი და დაუყოვნებლივ შეაქვს იგი პარლამენტში პალატების გაერთიანებულ სხდომაზე დასამტკიცებლად. გადაწყვეტილება ძალაში შედის პარლამენტის მიერ პალატების გაერთიანებულ სხდომაზე დამტკიცებისთანავე. გადაწყვეტილებას ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის ან ეპიდემიის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ იღებს პრემიერ-მინისტრი და ეს გადაწყვეტილება არ საჭიროებს დამტკიცებას პარლამენტის მიერ. რესპუბლიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის ან ეპიდემიის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შეწყვეტის თაობაზე.

3. საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას მთავრობის წარდგინებით იღებს საქართველოს პრეზიდენტი და დაუყოვნებლივ შეაქვს იგი რესპუბლიკის საბჭოში დასამტკიცებლად. გადაწყვეტილება ძალაში შედის პარლამენტის მიერ დამტკიცებისთანავე.

4. სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით განსაკუთრებულ და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალების შემოყვანის, გამოყენებისა და გადაადგილების შესახებ გადაწყვეტილებას მთავრობის წარდგინებით იღებს საქართველოს პრეზიდენტი. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ წარედგინება რესპუბლიკის საბჭოს დასამტკიცებლად და ძალაში შედის რესპუბლიკის საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე.

5. პარლამენტის გადაწყვეტილება პალატების გაერთიანებულ სხდომაზე ან რესპუბლიკის საბჭოს გადაწყვეტილება ამ მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე მიიღება პარლამენტის ან რესპუბლიკის საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობით.“.

36. 73-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საომარი მდგომარეობის დროს იქმნება სათათბირო ორგანო – ეროვნული თავდაცვის საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობს საქართველოს პრეზიდენტი. ეროვნული თავდაცვის საბჭოს წევრები არიან: საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარე, სენატის თავმჯდომარე, თავდაცვის მინისტრი და თავდაცვის ძალების მეთაური. საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით საბჭოს წევრებად შეიძლება მოწვეულ იქნენ პარლამენტის პალატებისა და მთავრობის ცალკეული წევრები. ეროვნული თავდაცვის საბჭო მოქმედებს საომარი მდგომარეობის გაუქმებამდე.“.

37. 74-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თვითმმართველი ერთეული არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. გადაწყვეტილებას თვითმმართველი ერთეულის შექმნის, გაუქმების ან მისი საზღვრების შეცვლის თაობაზე შესაბამის თვითმმართველ ერთეულებთან კონსულტაციით მთავრობის წარდგინებით იღებს სენატი.“.

38. 77-ე მუხლის მე-2–მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კონსტიტუციური კანონის პროექტი წარედგინება რესპუბლიკის საბჭოს, რომელიც აქვეყნებს მას საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. პარლამენტში პალატების გაერთიანებულ სხდომაზე კანონპროექტის განხილვა იწყება მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.

3. კონსტიტუციური კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას პალატების გაერთიანებულ სხდომაზე მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. კონსტიტუციური კანონი საქართველოს პრეზიდენტს ხელმოსაწერად გადაეცემა მომდევნო მოწვევის სენატის მიერ ერთი მოსმენით განხილვიდან და სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის მიერ მისი უცვლელად დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში.

4. კონსტიტუციური კანონი საქართველოს პრეზიდენტს ხელმოსაწერად გადაეცემა კონსტიტუციის 46-ე მუხლით დადგენილ ვადაში, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი.

5. კონსტიტუციური კანონი, რომელიც უკავშირდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, მიიღება პარლამენტის პალატების გაერთიანებულ სხდომაზე სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით და საქართველოს პრეზიდენტს ხელმოსაწერად გადაეცემა კონსტიტუციის 46-ე მუხლით დადგენილ ვადაში.“.

მუხლი 2.

1. რესპუბლიკის საბჭოს და სენატის პირველი არჩევნები ტარდება ერთდროულად.
2. პარლამენტის პალატების გაერთიანებული სხდომის რეგლამენტის მიღებამდე პალატების გაერთიანებული სხდომა იმართება რესპუბლიკის საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად და მას თანათავმჯდომარეობენ პალატების თავმჯდომარეები.

მუხლი 3.

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, გარდა ამ კანონის პირველი და მე-2 მუხლებისა.
2. ამ კანონის პირველი მუხლი, გარდა პირველი მუხლის მე-5 პუნქტისა, და მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს მომდევნო საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შემდგომი საპარლამენტო არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებისთანავე.
2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-5 პუნქტი და მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს მომდევნო საპარლამენტო არჩევნებში არჩეული პარლამენტის სრული უფლებამოსილების შეძენისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

2017-18 წლებში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმის საფუძველზე, საქართველოში 1995 წლიდან მოქმედი შერეული საარჩევნო სისტემა შეიცვალა პროპორციული საარჩევნო სისტემით. ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემა პოლიტიკური სისტემის კონსოლიდაციისა და პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაციის მაღალ ხარისხს მოითხოვს, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პროპორციული საარჩევნო სისტემის მომდევნო საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ამოქმედების შესახებ. შესაბამისი ნორმა აისახა 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის გარდამავალ დებულებებში.

თუმცა, უკანასკნელი პერიოდის მანძილზე ევროპის და მსოფლიოს სხვა დემოკრატიულ ქვეყნებში, სადაც პროპორციული საარჩევნო სისტემა მოქმედებს, განვითარებულმა პროცესებმა გვიჩვენა, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემა არამდგრადი პოლიტიკური პროცესების განვითარებას უწყობს ხელს. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ ხერხდება მთავრობის ფორმირება. ბევრ შემთხვევაში საჭირო ხდება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, რომლის შემთხვევაშიც არ არის გარანტია გონივრულ ვადებში სტაბილური მთავრობის ფორმირებისა. შესაბამისად, საერთაშორისო გამოცდილებისა და შიდასახელმწიფოებრივი გამოწვევების ფონზე გამოიკვეთა, რომ ეს სისტემა დიდი რისკის შემცველია საქართველოსთვის. მეტად საეჭვოა, რომ საქართველოში პოლიტიკური სისტემა თუნდაც 2024 წლისათვის იმ დონეზე განვითარდეს, რომ მოიხსნას პოლიტიკური არასტაბილურობის რისკები. ამასთან, მაჟორიტარულ სისტემას აქვს ბევრი უპირატესობა და დადებითი მხარე, რომლებიც ერთობლიობაში უზრუნველყოფენ ხალხის რეალურ მმართველობასა და ნამდვილ სახალხო სუვერენიტეტს, რაც, თავის მხრივ, აუცილებელია საქართველოს დემოკრატიული განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ასევე, ამავე კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ საპარლამენტო რესპუბლიკებში ორპალატიანი სისტემა ქმნის პოლიტიკური სტაბილურობის გაცილებით უფრო მაღალ გარანტიებს.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

ორპალატიან სისტემაზე გადასვლა და ორივე პალატაში მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის შემოღება მოითხოვს საკონსტიტუციო ცვლილებას.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

საქართველოში ფუნქციონირებას დაიწყებს ორპალატიანი პარლამენტი, რაც უზრუნველყოფს საპარლამენტო კონტროლის უწყვეტობას, მეტ სტაბილურობას და აამაღლებს კანონშემოქმედებითი პროცესის, მიღებული კანონების ხარისხს. ამავდროულად, მაჟორიტარი დეპუტატები, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული საკუთარ ამომრჩევლებთან,

შეძლებენ მაღალი პოლიტიკური პასუხისმგებლობის გამოჩენას და პოლიტიკური კონიუნქტურის მიუხედავად, იმოქმედებენ სახელმწიფოს ინტერესებიდან და მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე. მაჟორიტარული წესით არჩეული პარლამენტის წევრები, რომლებიც იმუშავებენ ორ პალატაში - რესპუბლიკის საბჭოსა და სენატში, გაცილებით ობიექტურად და პრაგმატულად მოიქცევიან ქვეყნისა და ხალხისათვის სხვადასხვა აქტუალური საკითხების გადაწყვეტისას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:
კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს პარლამენტში ორი პალატის - რესპუბლიკის საბჭოს და სენატის შექმნას. ორივე პალატა აირჩევა მაჟორიტარული წესით. რესპუბლიკის საბჭო შედგება საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში მაჟორიტარული სისტემით არჩეული 77 რესპუბლიკის საბჭოს წევრისაგან. სენატი შედგება საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 სენატის წევრისაგან. რესპუბლიკის საბჭოს წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელს მაინც. სენატის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 40 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელს მაინც. სენატი გეოგრაფიული წარმომადგენლობის ასახვის მიზნით აირჩევა მუნიციპალური საზღვრების გათვალისწინებით ფორმირებულ ერთმანდატიან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში. ერთი სენატის წევრი წარმოადგენს ერთ ან რამდენიმე მუნიციპალიტეტს, გარდა თბილისისა. თბილისში როგორც საქართველოს დედაქალაქში, იქმნება არანაკლებ 5 ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. რესპუბლიკის საბჭოს სენატის არჩევის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით. ამავე დროს, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის სრულად აღდგენისა და ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის გადასინჯვის შემდეგ დადგინდება პარლამენტის შემადგენლობის, უფლებამოსილებისა და არჩევის ახალი წესი.

კანონპროექტით საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ: მთავრობას, რესპუბლიკის საბჭოს წევრს, სენატს, რესპუბლიკის საბჭოს ფრაქციას, რესპუბლიკის საბჭოს კომიტეტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 25000 ამომრჩეველს. კანონპროექტის მიხედვით, კანონი რესპუბლიკის საბჭოში მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ ამ პალატის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული კანონის მიღების სხვა წესი. ორგანული კანონი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს რესპუბლიკის საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული ორგანული კანონის მიღების სხვა წესი. რესპუბლიკის საბჭოს მიერ მიღებული კანონი 3 დღის ვადაში გადაეცემა სენატს. სენატი 2 კვირის ვადაში ერთი მოსმენით იღებს გადაწყვეტილებას რესპუბლიკის საბჭოს მიერ მიღებული კანონის უცვლელად მხარდაჭერის ან მისი უარყოფის თაობაზე. თუ ამ პუნქტით დადგენილ ვადაში სენატმა გადაწყვეტილება არ მიიღო კანონი მხარდაჭერილად ითვლება. სენატი კანონის მხარდაჭერის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სენატის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, ხოლო ორგანული კანონის შემთხვევაში - სრული

შემადგენლობის უმრავლესობით, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული ორგანული კანონის ან კანონის მიღების სხვა წესი, რა დროსაც გადაწყვეტილება მიიღება ამ ორგანული კანონის ან კანონის მიღების წესის შესაბამისად. კანონის მხარდაჭერის შემთხვევაში სენატი 3 დღის ვადაში კანონს გადასცემს რესპუბლიკის საბჭოს. შესაბამისი კანონის უარყოფის შემთხვევაში სენატი 2 დღის ვადაში უბრუნებს კანონს რესპუბლიკის საბჭოს, რომელიც 2 კვირის ვადაში რესპუბლიკის საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას კანონის უცვლელად საქართველოს პრეზიდენტისათვის გადაცემის თაობაზე, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული ორგანული კანონის ან კანონის მიღების სხვა წესი, რა დროსაც ორგანული კანონის პრეზიდენტისათვის გადაცემის გადაწყვეტილება მიიღება ამ ორგანული კანონის ან კანონის პირვანდელი მიღებისათვის დადგენილი ხმების რაოდენობით.

ცვლილების შესაბამისად, საქართველოს მთავრობა საერთაშორისო ხელშეკრულებებს რატიფიცირების, დენონსირებისა და გაუქმების მიზნით წარუდგენს სენატს. სენატი 2 კვირის ვადაში განიხილავს საკითხს და შესაბამის (სარეკომენდაციო ხასიათის) დასკვნას წარუდგენს რესპუბლიკის საბჭოს. სენატის დასკვნის მიღებიდან რესპუბლიკის საბჭო სრული შემადგენლობის უმრავლესობით ახორციელებს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებას, დენონსირებას და გაუქმებას.

საკონსტიტუციო ცვლილება პრეზიდენტის იმპიჩმენტის, კონსტიტუციის გადასინჯვის, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის და სხვა შემთხვევებში ითვალისწინებს პალატების გაერთიანებული სხდომის ჩატარებას, რომლის რეგლამენტსაც იღებს ორივე პალატა. გამიჯნულია საკადრო გადაწყვეტილებების მიღებისას რესპუბლიკის საბჭოს და სენატის უფლებამოსილებები.

კანონპროექტით მთავრობა ანგარიშვალდებულია რესპუბლიკის საბჭოს წინაშე. მთავრობის ფორმირება ხორციელდება რესპუბლიკის საბჭოს მიერ შემდეგი წესით: ახალარჩეული რესპუბლიკის საბჭოს მიერ სრული უფლებამოსილების შეძენისთანავე მთავრობა იხსნის უფლებამოსილებას რესპუბლიკის საბჭოს წინაშე და განაგრძობს მოვალეობის შესრულებას ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნამდე. რესპუბლიკის საბჭო მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან, აგრეთვე პრემიერ-მინისტრის გადადგომიდან ან უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტიდან 2 კვირის ვადაში ნდობას უცხადებს რესპუბლიკის საბჭოს სრული შემადგენლობის ერთ მესამედზე მეტის მიერ წამოყენებული პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ წარდგენილ მთავრობას. თუ ამ პუნქტით დადგენილი წესით დასახელდა პრემიერმინისტრობის 2 კანდიდატი, კენჭი ეყრება ორივე პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ წარდგენილ მთავრობას. ერთ რესპუბლიკის საბჭოს წევრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ ერთი პრემიერმინისტრობის კანდიდატის წარდგენაში და მხარი დაუჭიროს მხოლოდ ერთი პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ წარდგენილ მთავრობას. მთავრობის შემადგენლობასთან ერთად რესპუბლიკის საბჭოს წარედგინება სამთავრობო პროგრამა. ნდობის მისაღებად საჭიროა რესპუბლიკის საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა. თუ რესპუბლიკის საბჭომ მთავრობას დადგენილ ვადაში ნდობა არ გამოუცხადა, საქართველოს პრეზიდენტი შესაბამისი ვადის ამოწურვიდან არაუადრეს 2 და არაუგვიანეს 3 კვირისა დაითხოვს რესპუბლიკის საბჭოს და დანიშნავს რესპუბლიკის საბჭოს რიგგარეშე არჩევნებს. პროექტი სენატის დათხოვნას არ ითვალისწინებს. საქართველოს პრეზიდენტი არ დაითხოვს რესპუბლიკის საბჭოს და არ დანიშნავს რესპუბლიკის საბჭოს რიგგარეშე არჩევნებს, თუ

რესპუბლიკის საბჭო კონსტიტუციით დადგენილი ვადის ამოწურვიდან 2 კვირის ვადაში შეძლებს დადგენილი წესით მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებას. რესპუბლიკის საბჭო, აგრეთვე, უფლებამოსილია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას.

კანონპროექტი, აგრეთვე, ითვალისწინებს სხვა კონსტიტუციური ნორმების გადასინჯვას და მათ მისადაგებას ორპალატიანი საპარლამენტო მოდელისადმი.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):
ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:
კანონპროექტი ითვალისწინებს ორპალატიან და სრულად მაჟორიტარულ სისტემაზე გადასვლას 2020 წლის მომდევნო საპარლამენტო არჩევნებისათვის. შესაბამისად, პროექტის ძირითადი დებულებები ამოქმედდება მომდევნო საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შემდგომი საპარლამენტო არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებისთანავე. ხოლო საარჩევნო სისტემის შეცვლასთან დაკავშირებული რეგულაციები ამოქმედდება მომდევნო საპარლამენტო არჩევნებში არჩეული პარლამენტის სრული უფლებამოსილების შეძენისთანავე.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):
ასეთი არ არსებობს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):
ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ფინანსურ შედეგებს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ ხორციელდება რაიმე გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესება.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტი არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:
ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:
საინიციატივო ჯგუფი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:
არანაკლებ 200 000 ამომრჩეველი.